ინფორმაციის თავისუფლება და ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

თბილისი
2013

Empowered lives.
Resilient nations.

გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

სარჩევი

შესავალი 5

კვლევის ძირითადი პრინციპები და მეთოდოლოგია 6

სამართლებრივი კვლევა 6

სოციალური კვლევა 9

ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის საკითხი მსოფლიოში 10

ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილი გარანტიები 14

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით ... 21

კვლევის შედეგები 23

გამოთხოვნილი ინფორმაციის ანალიზი 23

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიის შედეგები 26

რაოდენობრივი კვლევის შედეგები 29

სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები 29

რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონე დასმულ საკითხთან დაკავშირებით 29

რესპონდენტთა მიერ საკუთარი უფლების რეალიზება 30

რესპონდენტთა დამოკიდებულება სახელმწიფო სტრუქტურებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან 32

ინტერნეტისა და ვებრესურსების ხელმისაწვდომობა 33

მონაცემების ანალიზი გენდერულ ჭრილში 35

მონაცემების ანალიზი ასაკობრივ ჭრილში 35

შეჯამება 36

რეკომენდაციები 37

დანართი 39

რაოდენობრივი კვლევისთვის გამოყენებული კითხვარი 41

„ინფორმაცია დემოკრატიის ჟანგბადია. თუ ხალხმა არ იცის, რა ხდება საზოგადოებაში, თუ მმართველთა ქმედებები მისთვის დაფარულია, მაშინ მას არ შეუძლია მონაწილეობის მიღება ამ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებში“.[1]

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს 2012 წლის ნოემბერში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის თავისუფლებასა და ხელმისაწვდომობაზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. კვლევა განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამის – საქართველოს სახალხო დამცველის გაძლიერების პროექტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრის გაძლიერების კომპონენტის ფარგლებში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს 2006 წლის კონვენციის 21-ე მუხლის (აზრისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის მისაწვდომობა) თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი აზრისა და რწმენის გამოხატვის უფლების უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავს ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღებისა და გამოყენების თანაბარ უფლებას მათ მიერ არჩეული ნებისმიერი სახის საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა კვლევის სამიზნე ჯგუფისათვის ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის კუთხით ქვეყანაში არსებული სიტუაციის ანალიზი, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 21-ე მუხლის რეალიზაციის წინაშე არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირება და საქართველოს სახალხო დამცველისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში – საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ რელევანტური რეკომენდაციების შემუშავება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ კვლევა აქამდე არ ჩატარებულა. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის ანალიზის პირველ მცდელობას წარმოადგენს.

---

[1] *ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის პრინციპები (1999), ორგანიზაცია „Article 19“ http://www.article19.org/data/files/pdfs/standards/righttoknow.pdf*

კვლევის ძირითადი პრინციპები და მეთოდოლოგია

კვლევის ჩატარების ძირითადი პრინციპები იყო: სარწმუნო და ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, კონფიდენციალობის დაცვა, სანდოობა, ზიანის მიუყენებლობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, სენსიტიურობა, პროფესიონალიზმი[2].

კვლევის მეთოდოლოგია აერთიანებს სამართლებრივი კვლევისა და სოციალური კვლევის კომპონენტებს (რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა). კვლევის ფარგლებში განხორციელდა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი აღნიშნულ უფლებასთან კავშირში, ოფიციალური სახელმწიფო უწყებებიდან მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი, ასევე ამ უფლების განხორციელების ემპირიული კვლევა ანკეტირების მეთოდითა და ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით.

ინფორმაციის ანალიზი განხორციელდა სტატისტიკური პროგრამის (SPSS 10) საშუალებით, აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის ელემენტების გამოყენებით, როგორიცაა: სიხშირეთა განაწილება, არაპარამეტრული სტატისტიკური კრიტერიუმები, პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, კორელაციური და ფაქტორული ანალიზი.

კვლევა დაგეგმეს და ჩაატარეს მკვლევარებმა:

ირინე ობოლაძე – გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტი, იურისტი;

ანა არგანაშვილი – სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი.

სამართლებრივი კვლევა

საკვლევი საკითხების შესახებ სრულფასოვანი სურათის შესაქმნელად გაანალიზდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარანტიები, კერძოდ:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;

[2] *გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი (2001). „სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების მონიტორინგის შესახებ“, პროფესიული ტრენინგების სერია №7, თავი V, ძირითადი პრინციპები, გვ. 87. ჟენევა, ISBN 92-1-154137-9*

- გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
- გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ 1998 წლის კონვენცია (ორჰუსის კონვენცია);
- 2006 წლის გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია;
- ევროპის საბჭოს კონვენცია ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ.

ასევე მოხმობილ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოთა გადაწყვეტილებები აღნიშნულ თემაზე:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის #2/3/364 გადაწყვეტილება („საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“);
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე ბს – 1061 –1012(კ – 06).

დამუშავდა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის თემაზე:

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2007). ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში. კვლევა განხორციელდა ღია საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (2011). სასამართლო სტატისტიკისა და სხვა სახის საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება სასამართლოების ვებგვერდებზე. კვლევა განხორციელდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მხარდაჭერით;

- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (2011). საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში. კვლევა განხორციელდა ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ მხარდაჭერით;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (2010). ინფორმაციის თავისუფლება და ინტერნეტრეგულირება საქართველოში;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (2010). ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (2011). ელ-მმართველობა და ელ-გამჭვირვალობა – საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო.

გამოთხოვნილ და გაანალიზებულ იქნა ინფორმაცია შემდეგი სახელმწიფო უწყებებიდან:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილი ინფორმაციის თავისუფლების, ასევე კვლევის მიზნებისა და ინტერესის სფეროს გათვალისწინებით, თითოეული უწყებისათვის გაგზავნილი წერილობითი კორესპონდენცია მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

1. 2012 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სტატისტიკა;

2. ამავე უწყებების მიერ ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების სტატისტიკა;

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ გამოთხოვნილი ინფორმაციის სახე;

4. მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებების (ბრაილის შრიფტით, არასტანდარტული შრიფტით პასუხის მომზადება) გათვალისწინება ინფორმაციის მიწოდების პროცესში;

5. სმენის შეზღუდვის მქონე პირების მიერ სამინისტროებისადმი მიმართვის შემთხვევაში მათთან კომუნიკაციის დროს სურდო-თარჯიმნის მომსახურება ან კომუნიკაციის სხვა თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენება;

6. ამავე უწყებების მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით.

სოციალური კვლევა

სოციალური კვლევის კომპონენტი ჩატარდა თვისობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ფოკუს-ჯგუფების, კითხვარული მეთოდისა და ინტერ-ვიუს საშუალებით. თვისობრივი კვლევის მონაწილეები შერჩეულ იქნა მათი საჭიროების მიხედვით (უსინათლო და მცირედმხედველი, სმენის არმქონე, მობილობაშეზღუდული). გამოიყო რესპონდენტთა 3 კატეგორია: 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სხვადასხვა საჭიროებით; 2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წარმომადგენლები (მეურვე, მზრუნველი, ოჯახის წევრები); 3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები (სულ 100 მონაწილე).

საველე სამუშაოები ჩატარდა 2012 წლის ნოემბერში. მოეწყო 3 ფოკუს-ჯგუფი (1 – თბილისში და 2 – იმერეთის რეგიონში). ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა მიიღო 61-მა პირმა.

სმენის შეზღუდვის მქონე სამუშაო ჯგუფის მონაწილეები უზრუნველყოფილი იყვნენ სურდო-თარჯიმნის მომსახურებით.

ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის საკითხზე შედგენილი კითხვარი შეავსო სულ 100-მა რესპონდენტმა. რესპონდენტთა მოძიების სირთულიდან გამომდინარე, მონაწილეები შეგროვდა მიზნობრივი შერჩევის (არაალბათური შერჩევა) გზით.

კითხვარის შევსების შედეგად მიღებული მონაცემები სპეციალური პროგრამით (SPSS) დაამუშავა სტატისტიკოსმა.

ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის საკითხი მსოფლიოში

მსოფლიო ისტორიაში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ პირველი საკანონმდებლო აქტი 1766 წელს შვედეთის სამეფოში გამოიცა. იგი პრესის თავისუფლებას ეხებოდა. ამ თარიღიდან ორ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ინფორმაციის თავისუფლება მთელ მსოფლიოში ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებად იქნა აღიარებული.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლში ნათქვამია: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად“[3].

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის თანახმად, გამოხატვისა და ინფორმაციის გავრცელების იგივე პრინციპია აღიარებული. ამასთან, აღნიშნული მუხლი ასევე ითვალისწინებს ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას კანონით განსაზღვრულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში[4].

---

3 *საქართველოში ძალაშია 1991 წლის 15 სექტემბრიდან.*

4 *ასეთი შეზღუდვის საფუძველი შესაძლებელია, იყოს:*
ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა; ბ)სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვა.
https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1398335

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი მიუთითებს:

1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“[5].

ამავე კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად:

„ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა“.

აღნიშნული მუხლით გარანტირებულია ყველა პირის უფლება, ისარგებლოს კონ-ვენციით დადგენილი უფლებებით, მათ შორის, ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის უფლებით.

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ 1998 წლის კონვენცია“ („ორჰუსის კონვენცია“)[6] აღიარებს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

---

[5] https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1208370&lang=ge

[6] https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1210443&lang=ge
საქართველოში ძალაშია 2001 წლის 30 ოქტომბრიდან.

ორჰუსის კონვენცია ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია, თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებით.

კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, მისი მიღების მიზანს წარმოადგენს, „უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება, იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში; ამ კონვენციის დებულების შესაბამისად, ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“[7].

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა „ხალხის უფლება, სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული“ და „ინფორმაციის მიღების უფლება“, მაგრამ გარკვეულ პერიოდამდე თავს იკავებდა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლში გამოეცალკევებინა საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული დოკუმენტების მიღების უფლება. საქმეებში: „ლენდერი შვედეთის წინააღმდეგ“ (1987 წ.), „გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (1989 წ.) და „სირბუ მოლდოვას წინააღმდეგ“ (2004 წ.) სასამართლომ ცალსახად აღიარა, რომ „საზოგადოებას უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია ჟურნალისტების მეშვეობით იმ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელია“. თუმცა დასახელებულ არც ერთ საქმეში კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული ინფორმაციის მიღების უფლება არ იყო განმარტებული, როგორც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება – ინფორმაცია საზოგადოებისათვის საჯარო გაეხადა.

გადაწყვეტილებით საქმეზე „სდრუჟენი იოჩესკე მატკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“[8] ინფორმაციის თავისუფლების უფლება თვისობრივად ახალ საფეხურ-ზე ავიდა და კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენების ფარგლები მნიშვნელოვნად გაფართოვდა: „ადმინისტრაციული დოკუმენტების გაცნობის უფლება შესაძლოა, შეზღუდულ იქნეს მხოლოდ მე-10 (2) მუხლით დადგენილი პირობებით, რომლის თანახმად, უარი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით, არსებობს შესაბამისი ლეგიტიმური საფუძველი და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“, – აცხადებს სასამართლო.

ეს საქმე საერთაშორისო პრაქტიკაში უმნიშვნელოვანესი პრეცედენტია, ვინაიდან ადასტურებს, რომ ინფორმაციის საჯაროობის პრინციპების დარღვევა გათანაბრებულია ადამიანის უფლებათა დარღვევასთან და, შესაბამისად, შესაძლებელია მიმართვა ევროპის სასამართლოსთვის[9].

---

7 *https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1210443&lang=ge*

8 *გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 2006 წლის 10 ივლისს.*

9 *http://www.tbappeal.court.ge/?lan=geo&cat=20&sub=185&rec=838 თამარ ჩუგოშვილი, ნინო ლომჯარია, თამარ კორძაია. „ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში“. 2007 წ.*

საერთაშორისო კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საწყის ეტაპზე ინფორმაციის თავისუფლება გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში განიხილებოდა, დროთა განმავლობაში კი ის სულ უფრო მეტად გამოიკვეთა, როგორც დამოუკიდებელი უფლება. შესაბამისად, ითვლება, რომ ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის ხარისხი პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოთა დემოკრატიულობის ხარისხს და ნებისმიერ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის ასახვისათვის მნიშვნელოვან ტესტს წარმოადგენს.

გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მიხედვით:

მუხლი 21

აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. სახელმწიფო მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა შესაბამისი ღონისძიება, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გამოხატვისა და აზრის თავისუფლება, მათ შორის, შემდეგი სახით: თავისუფლად მოიძიონ და მიიღონ ინფორმაცია, გაავრცელონ ინფორმაცია და იდეები სხვებთან თანაბარ პირობებში, მათთვის სასურველი ნებისმიერი კომუნიკაციის ფორმით, რაც გულისხმობს:

   (ა) ქვეყნის მასშტაბით გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის – დროულად და დამატებითი საფასურის გარეშე;

   (ბ) ნებისმიერ, მათ შორის სახელმწიფო, უწყებებთან ურთიერთობა შესაძლებელი უნდა იყოს ჟესტების ენის, ბრაილის შრიფტის, ალტერნატიული და სხვა დამატებითი კომუნიკაციის საშუალებებით. კომუნიკაციის ყველა საშუალება უნდა იყოს ხელმისაწვდომი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის არჩევანის შესაბამისი;

   (გ) კერძო სექტორის მიერ ინფორმაციისა და მომსახურების მიწოდება საზოგადოებისათვის, მათ შორის ინტერნეტით, ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის;

   (დ) მოხდეს მასმედიის საშუალებებისა და ინტერნეტპროვაიდერების წახალისება იმ კუთხით, რომ მათ თავიანთი მომსახურების გავრცელებისას გამოიყენონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის საშუალებები;

   (ე) მოხდეს ჟესტების ენის აღიარება და მისი გამოყენების წახალისება.

ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილი გარანტიები

ნებისმიერ ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული საკანონმდებლო ბაზა და კანონით დადგენილ ნორმათა სათანადოდ შესრულება სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს.

ინფორმაციის თავისუფლება უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობას და საზოგადოების წინაშე მათი ანგარიშვალდებულების გაზრდას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობისათვის ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილი გარანტიები.

საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები სხვადასხვა საკანონმდებლო აქტშია ასახული.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად:

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

ასევე მნიშვნელოვანია კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად: „ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ“. დასახელებული ნორმა თითოეულ მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ. ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი.

კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად:

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციის დასახელებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტია საკმაოდ ფართოა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თავის 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადაწყვეტილებაში („საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი მოიცავს სამ ძირითად უფლებას –ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას. კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი განამტკიცებს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების, საკუთარი მოსაზრების გამოთქმისა და გავრცელების უფლებას ნებისმიერი საშუალებით. ამ უფლების განხორციელება, ძირითადად, თვითონ უფლებამოსილი სუბიექტის აქტივობაზეა დამოკიდებული. სახელმწიფოს ამ შემთხვევაში მხოლოდ ის ვალდებულება ეკისრება, რომ ხელი არ შეუშალოს პირს, მიიღოს ინფორმაცია, გამოთქვას თავისი მოსაზრება, აგრეთვე, არ შეზღუდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენზურის დაწესებით.

კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით სასამართლო თვლის, რომ ინფორმაციის მიღების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება შეიზღუდოს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. რამდენად გამართლებულია აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ხელისუფლების მხრიდან ჩარევა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალ-ცალკე უნდა გადაწყდეს[10].

კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“.

თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდის სოციალური როლი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფორმირებულობის დონეზე. შესაბამისად, აუცილებელი ხდება

[10] *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილება*

პერსონალური ინფორმაციის მოპოვებისა და გამოყენების პროცესში სახელმწიფო საქმიანობის კონტროლის ქმედითი გარანტიების ჩამოყალიბება[11].

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული მუხლი ღიად მიიჩნევს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ოფიციალურ ინფორმაციას და ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აძლევს მისი გაცნობის შესაძლებლობას; სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა კი ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა[12].

სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური გარანტიები განმტკიცებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, რომელიც საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ იქნა 1999 წლის 25 ივნისს. კოდექსი ძალაში შევიდა 2000 წლის პირველი იანვრიდან[13].

აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღებით საქართველოში ინფორმაციის თავისუფ-ლებისა და საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების სპეციალური ნორმებით განმტკი-ცებული სტანდარტები შესაძლებელია შემდეგ პრინციპებად ჩამოყალიბდეს:

- საჯარო დაწესებულებაში არსებული ყველა ინფორმაცია, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, სრულიად ღიაა;
- ინფორმაცია დაინტერესებულ პირს უნდა მიეცეს დაუყოვნებლივ. საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადა შეიძლება 10 დღემდე გაიზარდოს, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:
    - ა. სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული სტრუქტურული ქვედანა-ყოფებიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას;
    - ბ. მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებული დოკუ-მენტების მოძიებას და დამუშავებას;
    - გ. კონსულტაციას სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან.

---

[11] *ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი. 2005*

[12] *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილება („საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“)*

[13] *https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=16270&lang=ge*

- კანონი ინფორმაციის მაძიებელ პირს არ ავალდებულებს, მიუთითოს, თუ რა მიზნისთვის აპირებს მიღებული ინფორმაციის გამოყენებას;
- საჯარო დაწესებულებებში სხდომები საჯაროა, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;
- დაუშვებელია ისეთი ინფორმაციის გასაიდუმლოება, როგორიცაა: ინფორმაცია გარემოს შესახებ; მონაცემები იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ემუქრება პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მიმართულებები და სხვ.[14]

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ცნება „საჯარო ინფორმაციაში" მოიაზრება ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია[15].

კოდექსის მესამე თავში თავმოყრილია ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც ავალდებულებს საჯარო დაწესებულებებს, დაინტერესებული პირებისათვის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი გახადონ მათ დაქვემდებარებაში არსებული დაცული საჯარო ინფორმაცია.

საჯარო ინფორმაცია იყოფა ღია და დახურულ ინფორმაციად. ღიაა ინფორმაცია, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გასაიდუმლოებული, ხოლო დახურულია ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას, ასევე აღმასრულებელი პრივილეგიით დაცულ მონაცემებს[16].

„პერსონალური მონაცემების" ცნება, მის დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ". კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემები არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით[17].

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2-ე მუხლის თანახმად, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის

---

[14] *http://www.tbappeal.court.ge/?lan=geo&cat=20&sub=185&rec=838 თამარ ჩუგოშვილი, ნინო ლომჯარია, თამარ კორძაია. „ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში". 2007 წ.*

[15] *საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტი*

[16] *ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად, თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით.*

[17] *https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1561437&lang=ge*

მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე, ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს; აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

არის თუ არა კონკრეტული ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოება, განისაზღვრება კანონმდებლობით სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად (ტერმინთა განმარტება), სახელმწიფო საიდუმლოება არის ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია, ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს; რაც ამ კანონით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას[18].

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების წესს, გაცემის ვადებს.

კოდექსის თანახმად, ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, მისი ფიზიკური ფორმის და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად, და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს; აგრეთვე, გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს მთხოვნელს სათანადო წესით დამოწმებული ასლი[19].

საჯარო ინფორმაციის მისაღებად საჭიროა, წარდგენილ იქნას წერილობითი განცხადება. 2013 წლის 1 სექტემბრიდან შესაძლებელი იქნება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მიღება[20].

საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა[21].

---

18 *საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=33280&lang=ge*

19 *ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი*

20 *კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილი*

21 *კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილი*

დაუშვებელია, დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა[22].

თუ საჯარო დაწესებულება უარს ამბობს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, განმცხადებელს უარი უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. უარის თქმის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემის თაობაზე[23].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულ სუბიექტს წარმოადგენს ყველა ის საჯარო დაწესებულება, რომელიც ფლობს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, მიუხედავად იმისა, იგი უშუალოდ გვევლინება თუ არა ინფორმაციის ავტორად (შემქმნელად, დამმუშავებლად და ა.შ.). კანონმდებლის ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გარანტიების დადგენისა და შექმნის მიზნით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას შეზღუდულია იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოთხოვნილი დოკუმენტი ამ საჯარო დაწესებულებაში არ ინახება. ამ ვითარებაში დაწესებულება ვალდებულია, იხელმძღვანელოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული დანაწესით; კერძოდ, გადაუგზავნოს განცხადება უფლებამოსილ საჯარო დაწესებულებას (სადაც ინახება მოთხოვნილი ინფორმაცია) და აღნიშნულის შესახებ აცნობოს განმცხადებელს[24].

საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული მდგომარეობა სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ არაერთ კვლევაშია ასახული. ამ მხრივ აღსანიშნავია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და სხვათა კვლევები. მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა ემსახურება მოქალაქეთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას, საქართველოში თავისუფალი საინფორმაციო სივრცის შექმნას, ინფორმაციის საჯაროობის ხელშეწყობას.

აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევები. მათ შორის უნდა აღინიშნოს: „ინფორმაციის თავისუფლება და ინტერნეტრეგულირება საქართველოში“, „ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები“;

---

22 *ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლი*

23 *კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი*

24 *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე ბს—1061—1012(კ—06).*

„ელ-მმართველობა და ელ-გამჭვირვალობა – საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო“, „საქართველოს საჯარო დაწესებულებები“, „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში“, „სასამართლო სტატისტიკისა და სხვა სახის საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება სასამართლოების ვებგვერდებზე“, „ახალი პარლამენტის მშენებლობის ხარჯები და დაფინანსების სქემა“ და სხვ.[25] ორგანიზაციის ერთ-ერთი პროექტია საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის შექმნა[26].

კვლევებში ასახულია საქართველოს და სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის პრაქტიკის შედარებითი ანალიზი, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა სისტემის ელექტრონული რესურსების მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს პარლამენტის მშენებლობაზე გაწეული ხარჯების ანალიზი ორგანიზაციის ხელთ არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე. კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, რეალურად არის გადმოცემული საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსებულ პრაქტიკასთან დაკავშირებული ვითარება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სტრატეგიული სამართალწარმოება ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით. ორგანიზაციის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებულია სხვადასხვა სახის კვლევა, მათ შორის: „ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში – სასამართლო პრაქტიკის ანალიზი“, „ინფორმაციის თავისუფლება – ზღვარი ლეგიტიმურ შეზღუდვასა და საჯარო ინტერესს შორის“, „იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდასაჭერად ჩატარებული სამუშაოების მონიტორინგი“, „ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში – 2011 წელი“, „ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობა“, „რეაბილიტაცია ფასადს მიღმა“ და სხვ.

2011 წელს ორგანიზაციამ შექმნა საიას საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა, რომელშიც დაცულია საიას მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი განცხადებები და მათზე მოწოდებული პასუხების მონაცემები [27].

საიას მიერ ჩატარებული კვლევების შინაარსი მოიცავს საქართველოს პარლამენტის აპარატის, სამინისტროების, მთავრობის კანცელარიის, სასამართლო სისტემის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, ეროვნული ბანკის, თვითმმართველი ქალაქების საკრებულოების და სხვა საჯარო დაწესებულებების პრაქტიკის ანალიზს ინფორ-მაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის კუთხით და ემსახურება ამ სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენას[28].

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ საქმიანობის ერთ-ერთ მიზანსაც სახელმწიფო ორგანოების გამჭვირვალობისა და

[25] *http://www.idfi.ge/?cat=researches&lang=ka*

[26] *http://www.opendata.ge/?lang=ka#!lang/ka/cat/about_project*

[27] *http://gyla.ge/geo/effective_governance/anti_corruption_work*

[28] *http://gyla.ge/geo/news?info=850*

საზოგადოების წინაშე მათი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს[29].

ორგანიზაციის მიერ აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩატარებულია სხვადასხვა კვლევა: „ღია მმართველობა საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები“, „სახელმწიფო სახსრების საარჩევნო მიზნით ხარჯვა“, „პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2011 წელს“, „პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კვლევა“, „ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ანგარიშვალდებულება და საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარება“ და სხვ.[30]

ზემოთ მოყვანილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციამ განახორციელა მოცულობითი კვლევითი სამუშაოები ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის კუთხით, რაც, ბუნებრივია, დადებითად აისახება ამ სფეროში ქვეყნის მასშტაბით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე; თუმცა, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, არ არსებობს ისეთი სახის კვლევების ჩატარების პრაქტიკა, რომელიც ასახავს მონაცემებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ნაწილს შეადგენდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ შემეცნებითი-საგანმანათლებლო სამუშაოების განხორციელება. ის კვლავ რჩება 2013-2016 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მიმართულებად (ამჟამად მიმდინარეობს გეგმაზე მუშაობა). აქვე უნდა ითქვას, რომ არ ჩატარებულა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულყოფილი მონიტორინგი, მაგალითად, ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენციაზე დაყრდნობით, ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციას ამ პირებთან მიმართებით განსაკუთრებული როლი ეკისრება. ხშირად სწორედ ამ უფლების განხორციელება წარმოადგენს აუცილებელ პირობას მათ მიერ სხვა უფლებების რეალიზაციისათვის; მაგალითად, უზრუნველყოფს შესაძლებლობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელი მიუწვდებოდეთ სამართლიან სასამართლოზე, ადამიანის უფლებების დაცვის

[29] *http://transparency.ge/misia*

[30] *http://transparency.ge/our-research*

მექანიზმებზე. კანონმდებლობით დაშვებული უნდა იყოს, რომ უსინათლო ან სმენის არმქონე ადამიანმა საჩივარი წარადგინოს ბრაილის შრიფტით ან ჟესტების ენის გამოყენებით (მაგალითად, ინგლისში „თანასწორობის აქტი“ ითვალისწინებს აღნიშნული მიზნით ადაპტირების ვალდებულებას). კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს საჯარო დაწესებულებების ვალდებულებას, გახადონ ინფორმაცია ხელმისაწვდომი შესაბამის ფორმატში. კონვენციის ხსენებული მუხლით გარანტირებული უფლება ასევე გულისხმობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არ უნდა უწევდეს ლოდინი სხვა პირზე მეტხანს იმისთვის, რომ მიიღოს მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია.[31]

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, არ წარმოადგენს ძვირადღირებულ ინტერვენციას, მაგრამ იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრებას მრავალმხრივ აუმჯობესებს (აქ იგულისხმება, რომ გაიოლებულია პროდუქტის ფასის წაკითხვა, შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად დარბაზში შესვლა, ავტობუსის მიმოსვლის განრიგის გაგება, ვებგვერდების დათვალიერება და ა. შ.).

მედია აღიარებულია, როგორც ინფორმაციის ძირითადი წყარო და კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებზე წვდომის საშუალება. სახელმწიფომ, მედიაინდუსტრიასთან თანამშრომლობით, ხელი უნდა შეუწყოს მედიის სრული შინაარსის ხელმისაწვდომობას. სატელევიზიო გადაცემები სუბტიტრებითა თუ სხვა ალტერნატიული საშუალებებით ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სმენის არმქონე პირებისთვის და მოხუცებულთათვის. ეს ზომები უკვე მიღებულია მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში.

ინტერნეტს შეუძლია, შექმნას შესაძლებლობები ყველასთვის, თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ისინი განსაკუთრებით მოსახერხებელია. 2006 წლის ბოლოს 10 ქვეყნის (ბელგია, ხორვატია, გაერთიანებული სამეფო, ფინეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, პოლონეთი და ესპანეთი) სახელმწიფო დაწესებულებების 100 ვებგვერდი შეფასდა ხელმისაწვდომობის მსოფლიო ქსელის კონსორციუმის მიერ დადგენილი საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად[32]. მათ შორის იყო ვებგვერდები ისეთი დაწესებულებებისა, როგორიცაა ეკონომიკის, შინაგან საქმეთა, საგარეო ურთიერთობების, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, კულტურის, გარემოს დაცვის, იუსტიციისა და განათლების სამინისტროები. შეფასების კრიტერიუმები მოიცავდა: შინაარსს, ინტერფეისს, სტრუქტურასა და ორგანიზებას, ნავიგაციას, ორიენტაციას, ინტერაქციის შესაძლებლობას, ფუნქციებს, სანდოობას, ხელმისაწვდომობას, ღიაობას, უსაფრთხოებას და ა. შ. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ შესწავლილი ვებგვერდების უმეტესობა, ზოგადად, ხელმისაწვდომობის კუთხით აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს საშუალო დონის მომხმარებლისთვის; მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა (70%) არ ითვალისწინებდა უსინათლო, მცირედმხედველ, ყრუ

---

31 *http://www.equalityhumanrights.com/uploaded_files/publications/uncrpdguide.pdf*

32 *Ataloglou M.P., Economides A.A., (2009), Evaluating European Ministries' Website, International Journal of Public Information Systems, vol 3.*

და სმენადაქვეითებული ადამიანების საჭიროებებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ვებგვერდის მოდერნიზება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის კუთხით მარტივად შეიძლებოდა; თუმცა მათი უმეტესობის მოდერნიზებას საკმაოდ დიდი მუშაობა ესაჭიროებოდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის ინტერნეტი წარმოადგენს განათლების, დასაქმების, ახალი ამბების და ჯანდაცვის შესახებ ინფორმაციასთან დამაკავშირებელ არხს; ასევე, სამოქალაქო ჩართულობის და სოციალური ქსელების მეშვეობით კონტაქტების დამყარების საშუალებას. ფიზიკური პირები, რომლებსაც არა აქვთ ინტერნეტი, გარკვეულწილად, მოკლებულნი არიან საზოგადოებრივ პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ასევე მნიშვნელოვანია საგანგებო მდგომარეობის დროს. მთელ მსოფლიოში ბოლო პერიოდში განვითარებული ბუნებრივი კატასტროფების დროს დადასტურდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იმავე დონის მხარდაჭერას ვერ იღებენ, როგორსაც სხვა ადამიანები.[33]

კვლევის შედეგები

გამოთხოვნილი ინფორმაციის ანალიზი

სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრის მიერ საჯარო უწყებების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხარისხის მოკვლევისას გაირკვა, რომ 2012 წელს სამინისტროთა უმეტესობისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით წერილობით არ მიუმართავთ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილის[34] თანახმად, „**2012 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მომთხოვნ პირთა შორის არ ყოფილან იდენტიფიცირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. შესაბამისად, არ დამდგარა სპეციფიკური მომსახურების საჭიროება მათთან კომუნიკაციისას**“.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, „**2012 წლის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის**

[33] *From Exclusion to Equality. Realizing the rights of persons with disabilities. Handbook for Parliamentarians on the Convention on the Rights of Persons with Disabilities and its Optional Protocol. OHCHR/IPU Geneva 2007*

[34] *2012 წლის 13 დეკემბრის №06—06/14893 კორესპონდენცია*

შესახებ განცხადებით არც ერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არ მოუმართავს“[35].

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან მოსული კორესპონდენციის თანახმად, „**2012 წლის იანვრიდან დღემდე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებით არ მოუმართავს არც ერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში არ არის გათვალისწინებული სურდო-თარჯიმნის მომსახურება და სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის რაიმე სახის ცალკე სპეციალიზებული პროგრამა არ გაგვაჩნია“.**[36]

თუმცა, საინტერესოა თავად სამინისტროების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთა მიდგომა ამ საკითხისადმი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კორესპონდენციაში[37] აღნიშნულია, რომ „**2012 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადება აღნიშვნით, რომ განმცხადებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე არ შემოსულა**“. ასეთივე პოზიცია აქვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს[38]. მის კორესპონდენციაში აღნიშნულია: „**მოქალაქეთა მომართვის დროს არ ხდება მათი იდენტიფიცირება ან დიფერენციაცია კონკრეტულად რაიმე ნიშნის მიხედვით; ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, მოგაწოდოთ ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რამდენმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა მოგვმართა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით**“.

მნიშვნელოვანია, რომ ორივე სამინისტრო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევების იდენტიფიცირების შესაძლებლობას მხოლოდ იმაში ხედავს, რომ პირმა წერილში „აღნიშნოს“, „მიუთითოს“ თავისი შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ, რასაც სახალხო დამცველის ოფისი, ცხადია, ოპტიმალურ შესაძლებლობად არ მიიჩნევს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის შემთხვევები ადეკვატური მიწოდების ფორმის უზრუნველყოფით რატომღაც არც ერთ სამინისტროს არ განუხილავს (მაგალითად, ბრაილის შრიფტით შესრულებული კორესპონდენცია). თუმცა, ეს შეუძლებელი იყო, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სამინისტროების აბსოლუტურ უმრავლესობას არა აქვს შეზღუდვის მქონე

---

35 *2012 წლის 14 დეკემბრის #01–02/81345 კორესპონდენცია*

36 *კორესპონდენცია №1669— 18.12.2012*

37 *2012 წლის 18 დეკემბრის № 08/22001 კორესპონდენცია*

38 *2012 წლის 18 დეკემბრის № 01/79436 კორესპონდენცია*

პირებისათვის ინფორმაციის ადეკვატური ფორმით მიწოდებისა და მათთან კომუნიკაციის პრაქტიკა. ამას ადასტურებს სამინისტროების მიერ მოწოდებული ინფორმაცია სახალხო დამცველის მეორე შეკითხვაზე, რომელიც ეხებოდა ამავე სამინისტროების მიერ ინფორმაციის გავრცელებას შესაბამისი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი საშუალებებით.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წერილის თანახმად[39], „**მხედველობისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირების საჭიროებების (ბრაილის შრიფტი, არასტანდარტული შრიფტით პასუხის მომზადება, სურდო-თარჯიმნის მომსახურება) დაკმაყოფილება სამინისტროში ამ ეტაპზე არ არის უზრუნველყოფილი**“. საინტერესოა აღნიშნული საკითხის მიმართ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიდგომა, რომელსაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და უზრუნველყოფის ტვირთი მთლიანად საინფორმაციო საშუალებებზე გადააქვს. მისი კორესპონდენციის თანახმად[40], „**სამინისტროს სხვადასხვა პროგრამისა თუ ღონისძიების გაშუქება ხორციელდება არსებული საინფორმაციო საშუალებების (ტელევიზია, პრესა, საინფორმაციო სააგენტო და სოციალური ქსელი) მეშვეობით, რომელთა ტექნიკურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფორმირება“.** თუმცა, აღნიშნული პასუხი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ხშირად არც მედიით გაშუქებული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის. ამავე მიდგომას იზიარებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის კორესპონდენციაში ასეთი რამ წერია[41]: „**სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციას ვავრცელებთ დღეისთვის არსებული მასობრივი კომუნიკაციის ყველა წყაროს საშუალებით.**“

ამავე დროს, არც ერთი უწყების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არ დაფიქსირებულა სახელმწიფოს მიერ სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი რესურსის ეფექტური გამოყენების ფაქტები. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენციაში მითითებულია, რომ „**საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #503 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის“ „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში სმენის შეზღუდვის მქონე პირებმა სურდო-თარჯიმნის მომსახურებით შესაძლებელია ისარგებლონ შემდეგ საჯარო დაწესებულებებში: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საქართველოს სასამართლოები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – სახელმწიფო**

[39] *2012 წლის 20 დეკემბრის №4164 კორესპონდენცია*

[40] *2012 წლის 20 დეკემბრის №09/22001 კორესპონდენცია*

[41] *2012 წლის 14 დეკემბრის №01—09—09/3993 კორესპონდენცია*

სერვისების განვითარების სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; აგრეთვე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულები“[42].

კვლევის ფარგლებში, სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტიურობის მაჩვენებელი, ამ დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის კუთხით, მნიშვნელოვნად დაბალია. ასეთი პასიურობა შესაძლებელია, რამდენიმე ფაქტორთან იყოს დაკავშირებული: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფორმირებულობისა და აქტიურობის დაბალი დონე საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციის კუთხით; თავად სამინისტროების უმოქმედობა ინფორმაციის პროაქტიურ რეჟიმში მიწოდებისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით. ამავე თემაზე ფოკუს-ჯგუფების საშუალებით მოპოვებულმა მონაცემებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფერხების ფაქტები.

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიის შედეგები

კვლევის ფარგლებში ჩატარებულ 3 ფოკუს-ჯგუფში (1 – ქალაქ თბილისში, ორი – იმერეთის რეგიონში) მონაწილეობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ოჯახის წევრები. დისკუსიის მიმდინარეობისას გამოიკვეთა ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც შეიმჩნევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის შეფერხების კუთხით; კერძოდ, მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მიერ კანონით დადგენილი ვადების დარღვევით; სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელთა მხრიდან ჟესტების ენის გამოყენების უგულებელყოფა სმენის შეზღუდვის მქონე პირებთან ურთიერთობაში; სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირებისათვის გადაუდებელი დახმარების სამსახურების (სასწრაფო-სამედიცინო, სახანძრო-სამაშველო, საპატრულო პოლიცია და სხვ.) გამოძახების დროს ინფორმაციის მიწოდების პრობლემა.

ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა: „**სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ აგენტთან ურთიერთობის დროს სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე მოქალაქემ მოითხოვა კომუნიკაცია სურდო-თარჯიმნის საშუალებით,**

[42] 2012 წლის 18 დეკემბრის #01/79436 კორესპონდენცია

რაზედაც უარი მიიღო. ვიცით, რომ აღნიშნული მომსახურება დაფინანსებულია და რატომ არ უნდა იყოს ის ხელმისაწვდომი? სურდო-თარჯიმნების რაოდენობა არ არის საკმარისი, ალბათ ფინანსები არ ჰყოფნით, რომ მათი რაოდენობა გაზარდონ“.

დისკუსიის დროს განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინფორმირებულობის ხარისხი ძალიან დაბალია, კერძოდ, ამ ადამიანებმა ცოტა რამ იციან თავიანთი უფლებების და მათ მიმართ სახელმწიფო სტრუქტურების ვალდებულებების შესახებ: „**ძალიან ბევრმა მოქალაქემ არ იცის ინფორმაციის გამოთხოვნის წესი; ამ კუთხით დაბალია საზოგადოების გათვითცნობიერების დონე. კარგი იქნება, თუ ჩატარდება ტრენინგები, მომზადდება ლიფლეტები და სოციალური რეკლამა“.**

დისკუსიის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირების მიერ გადაუდებელი დახმარების სამსახურების (სასწრაფო-სამედიცინო, სახანძრო-სამაშველო, საპატრულო პოლიცია და სხვ.) გამოძახების დროს ინფორმაციის გაცვლის პროცესში არსებულ პრობლემებზე. ამან კი, შესაძლოა, სავალალო შედეგი გამოიწვიოს გასაჭირში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. **„ღამის საათებში რომ ამ ადამიანებს სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის ბრიგადის ან სხვა სამსახურის გამოძახება დასჭირდეთ, ეს როგორ უნდა მოახერხონ? ბევრ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისი (sms) ამ სფეროში. ალბათ საქართველოშიც არ იქნება რთული მსგავსი სერვისის დანერგვა“.**

ქუთაისში გამართული ფოკუს-ჯგუფის მიმდინარეობისას გამოიკვეთა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციების გაძლიერების აუცილებლობა, სპეციალური საჭიროების მქონე თემისთვის ინფორმაციის ორგანიზებულად მოგროვებისა და მიწოდების უზრუნველსაყოფად: „**სმენის პრობლემების მქონე პირთა ორგანიზაციას არა აქვს ინტერნეტზე წვდომა. ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება“.**

მონაწილეებმა აღნიშნეს ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეფერხებული და არასრულფასოვანი კომუნიკაციის შესახებ:

„ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციას ძალიან გვიან ვიღებთ. განცხადებას ვწერთ, მაგრამ ხშირად არ გვპასუხობენ“.

გამოიკვეთა ასევე არასწორი ადრესატის მიმართ ან კანონით გაუთვალისწინებელი ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ გაკეთებული წერილობითი მიმართვის პრობლემატიკაც. როგორც აღმოჩნდა, რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის არ არის გამიჯნული ცენტრალური

ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ფუნქციები, კერძოდ, დელეგირებული და ექსკლუზიური უფლებამოსილებები. როგორც აღმოჩნდა, ხშირად ისინი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარების მოთხოვნით მიმართავენ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, რაზედაც იღებენ უარს. მათ უარის მიზეზს საფუძვლიანად აღარ განუმარტავენ და არც მათ თხოვნას გადაამისამართებენ ადეკვატურ ადრესატთან.

„როცა პროგრამების შესახებ გვაქვს ინფორმაცია, ვწერთ განცხადებას, მაგრამ ხშირად უარს გვეუბნებიან დახმარებაზე ან ძალიან მცირე ოდენობის თანხით გვეხმარებიან“.

„მართალია, სექტემბრიდან ჩემს შვილს აქვს დაზღვევა, მაგრამ არ გვაქვს ინფორმაცია, რა ფინანსდება დაზღვევის ფარგლებში. ისიც არ ვიცით, ვის მივაკითხოთ საკითხის გასარკვევად“ (ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია).

შეზღუდვა დაფიქსირდა სამოქალაქო საზოგადოებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების მუშაობისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელების კუთხითაც. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ ფლობენ ინფორმაციას არასამთავრობო სექტორში არსებული რესურსებისა და მათი შესაძლებლობის შესახებ.

(„ჩემი მეუღლე არის უსინათლო. არ ვფლობთ ინფორმაციას, იმერეთში ფუნქციონირებს თუ არა უსინათლო და/ან მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთა დაცვის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაცია. ასევე გვაინტერესებს, არსებობს თუ არა რაიმე პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების კუთხით“).

დისკუსიების დროს ყველგან და, განსაკუთრებით, რეგიონში დაფიქსირდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი წარმომადგენლების, მათი ოჯახების გაზრდილი საჭიროება ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებთან კომუნიკაციისა. როგორც ისინი აღნიშნავდნენ, მათ არ ეძლევათ საშუალება, უშუალოდ, სამინისტროების წარმომადგენლების მხრიდან მოისმინონ ინფორმაცია და განმარტებები არსებული სერვისებისა და მათი უფლებების დაცვის სხვა საშუალებების შესახებ. ასევე არა აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი წვლილი შეიტანონ ამავე უწყებების მიერ სამომავლო პროგრამებისა და ინიციატივების დაგეგმვაში. ყოველივე ეს კი წარმოშობს კომუნიკაციის პრობლემას ადგილობრივ მოსახლეობასა და სახელმწიფო უწყებების, ასევე თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებს შორის, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სრულფასოვან რეალიზაციას.

სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობა თბილისის მცხოვრებია, კერძოდ, 66%, თელავის – 1%, გორის – 2.1%, ქუთაისის – 28.9%, წყალტუბოსი – 2.1% ($\chi2=155.01$, დფ=4, პ<0.0001). რეგიონებიდან სულ გამოიკითხა რესპონდენტთა 34%. რესპონდენტთა 41.8% მამაკაცია, ხოლო 58.2% – ქალი.

რესპონდენტთა ასაკი მერყეობს 18-დან 75 წლამდე. გაანალიზების მიზნით ისინი ასაკობრივი ცენზის მიხედვით დაიყო 2 ჯგუფად: 40 წელზე ნაკლები და 40 წლის და მეტი ასაკის რესპონდენტებად. პირველ ჯგუფში მოხვდა რესპონდენტთა 59.1%, ხოლო მეორეში – 40.9%. სტატისტიკურად სანდო განსხვავება ამ ჯგუფებში რესპონდენტთა რაოდენობების მიხედვით არ გამოვლინდა.

კვლევაში მონაწილე პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, კერძოდ, 65.4% იყენებდა კომუნიკაციის და სხვა დამხმარე საშუალებებს. აღებულ შერჩევაში, სტატისტიკური თვალსაზრისით, გაცილებით მეტი პირი იყენებს დამხმარე საშუალებას ($\chi2=7.385$,დფ=1, პ<0.007); მათ შორის 50% იყენებს ეტლს, სმენის აპარატს – 12%, სმენის სხვა დამხმარე საშუალებას – 2%, ბრაილის შრიფტს – 6%, ჟესტების ენის თარჯიმანს – 6%, ყავარჯენს – 2%, „თეთრ ჯოხს“ – 6%, ჯოხს – 16% ($\chi2=70.64$, დფ=7, პ<0.0001).

შეზღუდული შესაძლებლობის ტიპი მიუთითა რესპონდენტთა 23.2%-მა. ამათგან მხედველობის პრობლემა ჰქონდა რესპონდენტთა 47.8%-ს, სმენის პრობლემა – 43.5%-ს; გონებრივი ჩამორჩენილობა და ფსიქომოტორული განვითარების შეფერხება აღნიშნა თითო რესპონდენტმა. რესპონდენტებიდან 63.6%-მა მიუთითა, რა მიმართება აქვთ შშმპ კატეგორიასთან (63 რესპონდენტი); აქედან 52.4% იყო შშმპ, 44.4% – შშმპ-ის ოჯახის წევრი, ხოლო 3.2% (2 რესპონდენტი); – შშმპ-თა ორგანიზაციის წარმომადგენელი ($\chi2=26.381$, დფ=2, პ<0.0001).

რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონე დასმულ საკითხთან დაკავშირებით

ფლობს თუ არა ინფორმაციას კანონმდებლობაზე თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ? ამ კითხვას პასუხი გასცა რესპონდენტთა 98%-მა (97 რესპონდენტმა 99-დან). აქედან 35.1% აღნიშნავს, რომ ამ კანონმდებლობას იცნობს; გაცილებით მეტი რესპონდენტი (64.9%) აღნიშნავს, რომ არ იცნობს ამ კანონმდებლობას ($\chi2=8.67$, დფ=1, პ<0.003).

თუმცა, როგორც მონაცემებმა გვიჩვენა, სამწუხაროდ, რესპონდენტთა 35%-ც კი, რომელიც თავს აღნიშნულ საკითხზე ინფორმირებულად თვლის, არ ფლობს სრულფასოვან ინფორმაციას, კერძოდ:

შეკითხვაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო ორგანოებიდან რა ტიპის ინფორმაციის გამოთხოვნის შესაძლებლობაა გათვალისწინებული, უპასუხა რესპონდენტთა96%-მა (95 რესპონდენტი 99-დან). ამ შეკითხვაზე გაცემული პასუხების 13.6% მიიღო პერსონალური ინფორმაციის გამოთხოვნის შესაძლებლობამ, 3.9% – კომერციული ინფორმაციის გამოთხოვნის შესაძლებლობამ, 73.8% – პროფესიული საიდუმლოების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვნის შესაძლებლობამ, 73.8% – საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის შესაძლებლობამ, 2.9% – საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვნის შესაძლებლობამ.

შეკითხვას, დაკავშირებულია თუ არა ინფორმაციის მიღება საჯარო უწყებიდან რაიმე საზღაურის გადახდასთან, უპასუხა რესპონდენტთა 98%-მა. მათგან შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა 23.5%-მა; უმრავლესობამ (71.7%-მა) მას უარყოფითად უპასუხა, ხოლო 5.1%-ს ამ საკითხის მიმართ გაურკვეველი დამოკიდებულება აქვს ($\chi2$=38.959, დფ=2, პ<0.0001).

რესპონდენტთა მიერ საკუთარი უფლების რეალიზება

შეკითხვას, მიუმართავს თუ არა ტელეფონით ან ზეპირი კომუნიკაციის გზით საჯარო დაწესებულებისათვის ინფორმაციის მისაღებად, უპასუხა რესპონდენტთა 96%-მა. მათგან შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა 41.1%-მა, ხო ლო უარყოფითად უპასუხა 58.9%-მა. აღნიშნულ რაოდენობებს შორის განსხვავების სანდოობა სტატისტიკურად ზღვრულია ($\chi2$=3.042, დფ=1, პ<0.081).

შეკითხვას, სრულფასოვნად მიეწოდებოდათ თუ არა მხედველობისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირებს ინფორმაცია ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით, უპასუხა რესპონდენტთა 92%-მა. მათგან შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა 15.2%-მა, უმრავლესობამ (80.4%-მა) უარყოფითად უპასუხა, ხოლო 4.3% თვლის, რომ აღნიშნული პირები იღებენ ინფორმაციას, ოღონდ არასაკმარისი მოცულობით ($\chi2$=93.478, დფ=2, პ<0.0001).

შეკითხვას, სრულფასოვნად იღებენ თუ არა მხედველობისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირები ინფორმაციას პრესის საშუალებით, უპასუხა რესპონდენტთა 96%-მა. მათგან შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა 15.6%-მა, ხოლო უმრავლესობამ (84.4%-მა) მას უარყოფითად უპასუხა ($\chi2$=45.375, დფ=1 პ<0.0001).



რესპონდენტთა 6.1%-მა აღნიშნა, რომ საჭიროა ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდა (χ2=76.455, დფ=1, პ<0.0001); 87.8% მიიჩნევს, რომ ტელევიზიის ხელმისაწვდომობის გაზრდაა საჭირო (χ2=76.455, დფ=1,0 პ<0.0001); 50% თვლის, რომ რადიოს ხელმისაწვდომობა უნდა გაიზარდოს; ხოლო 43.9% მიიჩნევს, რომ საჭიროა პრესის ხელმისაწვდომობის გაზრდა.



შეკითხვას, თუ ინფორმაციის რომელი ტიპის ხელმისაწვდომობის გაზრდაა დღეს-დღეობით პრიორიტეტული, უპასუხა რესპონდენტთა 98%-მა. მათგან საინფორმაციო გადაცემები აირჩია 68%-მა (χ2=12.629, დფ=1, პ<0.0001), კულტურის სფეროს სიახლეები – 24.7%-მა (χ2=24.753, დფ=1, პ<0.0001) გასართობი გადაცემები – 18.6%-მა (χ2=38.361, დფ=1, პ<0.0001) დებატები და თოქ-შოუები – 26.8%-მა (χ2=20.876, დფ=1, პ<0.0001) საგანმანათლებლო გადაცემები – 61.9%-მა (χ2=5.454, დფ=1, პ<0.02).



თბილისის მცხოვრებლებიდან რესპონდენტთა 3.1%-მა, ხოლო რეგიონების მცხოვრებლებიდან რესპონდენტთა 12.1%-მა აღნიშნა, რომ ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდაა საჭირო; თბილისის მცხოვრებლებიდან რესპონდენტთა 56.3%-მა, ხოლო რეგიონების მცხოვრებლებიდან რესპონდენტთა 37.5%-მა აღნიშნა, რომ რადიოს ხელმისაწვდომობის გაზრდაა საჭირო; თბილისის მცხოვრებლებიდან რესპონდენტთა 48.4%-მა, ხოლო რეგიონების მცხოვრებლებიდან რესპონდენტთა 34.4%-მა აღნიშნა, რომ პრესის ხელმისაწვდომობის გაზრდაა საჭირო.

რესპონდენტთა დამოკიდებულება სახელმწიფო სტრუქტურების და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან

შეკითხვას, თუ რომელი სახელმწიფო სტრუქტურის მუშაობის შესახებ იყვნენ ინფორმირებული, უპასუხა რესპონდენტთა 87.9%-მა. მათგან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აირჩია 70.1%-მა ($\chi2=14.08$, დფ=1, პ<0.0001), განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – 28.7%-მა ($\chi2=15.736$, დფ=1, პ<0.0001), სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო – 19.5%-მა ($\chi2=32.287$, დფ=1, პ<0.0001), იუსტიციის სამინისტრო – 11.5%-მა ($\chi2=51.598$, დფ=1, პ<0.0001), შინაგან საქმეთა სამინისტრო – 6.9%-მა ($\chi2=64.655$, დფ=1, პ<0.02). დღის ცენტრის არსებობის შესახებ ინფორმირებულობა აღნიშნა 1%-მა, დახმარებების შესახებ ინფორმირებულობა – 4%-მა, ხოლო პენსიების შესახებ ინფორმირებულობა – 5.1%-მა.

შეკითხვას, აქვთ თუ არა ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფინანსების განკარგვის შესახებ, უპასუხა რესპონდენტთა 99%-მა. მათგან შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა 9.2%-მა, ხოლო უმრავლესობამ (90.8%-მა) მას უარყოფითად უპასუხა ($\chi2=65.306$, დფ=1, პ<0.0001).

შეკითხვას, აქვთ თუ არა ინფორმაცია თვითმმართველობის ბიუჯეტისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ფინანსების განკარგვის შესახებ, უპასუხა რესპონდენტთა 98%-მა. მათგან შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა 3.1%-მა, ხოლო უმრავლესობამ (96.9%-მა) მას უარყოფითად უპასუხა ($\chi2=85.371$, დფ=1, პ<0.0001). ადგილობრივ მუნიციპალიტეტში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის შესახებ დამატებითი შენიშვნა გააკეთა რესპონდენტთა 3.1%-მა.

შეკითხვას, თუ რომელი საჯარო დაწესებულებიდან ესაჭიროებათ ინფორმაციის მიღება, უპასუხა რესპონდენტთა 93.9%-მა. მათგან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აირჩია 92.5%-მა ($\chi2=67.108$, დფ=1, პ<0.0001), განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – დაახლოებით ნახევარმა (41.9%-მა), სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო – 30.1%-მა ($\chi2=14.72$, დფ=1, პ<0.0001), იუსტიციის სამინისტრო – 18.3%-მა ($\chi2=37.43$, დფ=1, პ<0.0001), შინაგან

საქმეთა სამინისტრო – 12.9%-მა ($\chi2=51.194$, დფ=1, პ<0.0001), ხოლო კულტურის სფერო შესაბამისი სამინისტროდან (სპორტის სფეროსგან განცალკევებით) აირჩია 15.2%-მა ($\chi2=44.522$, დფ=1, პ<0.0001). ზოგადად, ინფორმაციის მიღებისათვის პრიორიტეტული საჯარო დაწესებულების არჩევისას პასუხების 439% ეხება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, 19.9% – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, 14.3% – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, 8.7% – იუსტიციის სამინისტროს, 6.1% – შინაგან საქმეთა სამინისტროს, 7.1% – კულტურის სფეროს (შესაბამისი სამინისტროდან). რესპონდენტთა 20.8%-ს აინტერესებს ინფორმაცია არსებული შეღავათებისა და დახმარებების შესახებ, 7.5%-ს – სამედიცინო დაზღვევის შესახებ, 43.4%-ს – სპეციალური სახელმწიფო პროგრამების შესახებ, 7.5%-ს –დასაქმების შესახებ, 11.3%-ს – პენსიის შესახებ, 3.8%-ს – შშმპ-ების მონაცემთა ბაზების შესახებ, 5.7%-ს –შშმპ-თა შესახებ კანონმდებლობის თაობაზე.



ინტერნეტისა და ვებრესურსების ხელმისაწვდომობა

შეკითხვას, არის თუ არა რესპონდენტთათვის რეგულარულად ხელმისაწვდომი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერი, უპასუხა რესპონდენტთა 97%-მა. მათგან შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა 54.2%-მა, ხოლო 45.8%-მა უარყოფითად უპასუხა. ამ ჯგუფებს შორის პროცენტული შემადგენლობის თვალსაზრისით სტატისტიკური განსხვავება არ გამოვლინდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გამოკითხულთა ნახევრისათვის ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერი რეგულარულად ხელმისაწვდომია.

შეკითხვას, წარმოადგენს თუ არა რესპონდენტთათვის ინფორმაციის მიღების წყაროს ინტერნეტი, უპასუხა მათმა 98%-მა. შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა 57.7%-მა, ხოლო 42.3%-მა უარყოფითად უპასუხა. ამ ჯგუფებს შორის პროცენტული შემადგენლობის თვალსაზრისით სტატისტიკური განსხვავება არ გამოვლინდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გამოკითხულთა ნახევრისათვის ინფორმაციის მიღების წყაროს ინტერნეტი წარმოადგენს.

შეკითხვას, თუ რომელი სახელმწიფო სტრუქტურის ვებგვერდია მხედველობის შეზღუდვის მქონეთათვის უფრო ხელმისაწვდომი, უპასუხა რესპონდენტთა 78.8%-მა. მათგან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აირჩია 38.5%-მა ($\chi2=4.154$, დფ=1, პ<0.042), განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – 6.4%-მა ($\chi2=59.282$, დფ=1, პ<0.0001), სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო – 6.4%-მა ($\chi2=59.282$, დფ=1, პ<0.0001), იუსტიციის სამინისტრო – 1.3%-მა ($\chi2=74.051$, დფ=1, პ<0.0001), შინაგან საქმეთა სამინისტრო – 1.3%-მა ($\chi2=74.051$, დფ=1, პ<0.0001).

მხედველობის შეზღუდვის მქონეთათვის სახელმწიფო სტრუქტურის ვებგვერდების ხელმისაწვდომობის შესახებ პასუხების 71.4% ეხება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, 11.9% – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, 11.9% – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, 2.4% – იუსტიციის სამინისტროს, 2.4% – შინაგან საქმეთა სამინისტროს.

შეკითხვას, თუ რომელი საინფორმაციო საშუალება წარმოადგენს რესპონდენ-ტისათვის ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების ყველაზე ეფექტურ საშუალებას, უპასუხა რესპონდენტთა 77.8%-მა. მათგან ინტერნეტი აირჩია 22.1%-მა ($\chi2=24.013$, დფ=1, პ<0.0001), ჟესტური ენის თარჯიმანი – 5.2%-მა ($\chi2=61.831$, დფ=1, პ<0.0001), ტელევიზია – 63.6%-მა ($\chi2=5.727$, დფ=1, პ<0.017), პრესა – 10.4%-მა ($\chi2=48.325$, დფ=1, პ<0.0001), რადიო – 14.3%-მა ($\chi2=39.286$, დფ=1, პ<0.0001), ხოლო ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელებისათვის არც ერთ საინფორმაციო საშუალებას არ თვლის ეფექტურად რესპონდენტთა 2.6% ($\chi2=61.831$, დფ=1, პ<0.0001). ზოგადად, ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელებისათვის ყველაზე ეფექტური საშუალების შეფასების შესახებ პასუხების 18.7% ეხება ინტერნეტს, 4.4% – ჟესტური ენის თარჯიმანს, 53.8% – ტელევიზიას, 8.8% – პრესას, 12.1% – რადიოს, ხოლო 2.2% პრიორიტეტულად არც ერთ საინფორმაციო საშუალებას არ აღიარებს.

თბილისის მცხოვრებლებიდან რესპონდენტთა 7.8%-ს აინტერესებს ინფორმაცია არსებული შეღავათებისა და დახმარებების შესახებ, 3.1%-ს – სამედიცინო დაზღვევის შესახებ, 28.1%-ს – სპეციალური სახელმწიფო პროგრამების შესახებ, 1.6%-ს – დასაქმების შესახებ, 6.3%-ს – პენსიის შესახებ, 3.1%-ს – შშმპ-ების მონაცემთა ბაზების შესახებ, 4.7%-ს – შშმპ-თა შესახებ კანონმდებლობის თაობაზე. რეგიონების მცხოვრებლებიდან რესპონდენტთა 28.2%-ს აინტერესებს ინფორმაცია არსებული შეღავათებისა და დახმარებების შესახებ, 6.1%-ს – სამედიცინო დაზღვევის შესახებ, 15.2%-ს – სპეციალური სახელმწიფო პროგრამების შესახებ, 9.1%-ს – დასაქმების შესახებ, 6.1%-ს – პენსიის შესახებ.

მონაცემების ანალიზი გენდერულ ჭრილში

სქესის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა შეკითხვისათვის: დაკავშირებულია თუ არა ინფორმაციის მიღება საჯარო უწყებიდან რაიმე საზღაურის გადახდასთან? ($\chi2=9.701$, დფ=2, პ<0.008). დადებით პასუხს იძლევა კაცების 13.2% და ქალების 34%.

სქესის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა მათთვის, ვინც საინფორმაციო გადაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდას დღესდღეობით პრიორიტეტულად თვლის ($\chi2=4.09$, დფ=1, პ<0.043). საინფორმაციო გადაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდას პრიორიტეტულად მიიჩნევს კაცების 55.3% და ქალების 75.5%.

სქესის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა მათთვის, ვინც საგანმანათლებლო გადაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდას დღესდღეობით პრიორიტეტულად თვლის ($\chi2=5.564$, დფ=1, პ<0.018). საგანმანათლებლო გადაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდას პრიორიტეტულად მიიჩნევს კაცების 73.7% და ქალების 49.1%.

სქესის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად ზღვრული აღმოჩნდა მათთვის, ვინც ჟესტური ენის თარჯიმანს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების ყველაზე ეფექტურ საშუალებად თვლის ($\chi2=3.584$, დფ=1, პ<0.058). ჟესტური ენის თარჯიმანს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიიჩნევს ქალების 10.3% და არც ერთი კაცი.

მონაცემების ანალიზი ასაკობრივ ჭრილში

ასაკის მიხედვით, სტატისტიკურად სანდო განსხვავება გამოვლინდა იმათ შორის, ვინც თვლის, რომ ტელევიზიის ხელმისაწვდომობის გაზრდაა საჭირო ($\chi2=4.126$, დფ=1, პ<0.042). 40 წელზე ნაკლები ასაკის მქონეთაგან 92.3% ეთანხმება ამ შეხედულებას და არ ეთანხმება 7.7%, ხოლო 40 წლის და მეტი ასაკის მქონეთაგან ამ შეხედულებას ეთანხმება 74.1% და არ ეთანხმება 25.9%.

ასაკის მიხედვით, სტატისტიკურად სანდო განსხვავება გამოვლინდა იმათ შორის, ვინც თვლის, რომ რადიო ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ($\chi2=5.278$, დფ=1, პ<0.022). 40 წელზე ნაკლები ასაკის მქონეთაგან 8.3% ეთანხმება ამ შეხედულებას და არ ეთანხმება 91.7%, ხოლო 40 წლის და მეტი ასაკის მქონეთაგან ამ შეხედულებას ეთანხმება 31.8% და არ ეთანხმება 68.2%.

როგორც მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი მიუთითებს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ჯერ კიდევ პრობლემური საკითხია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. მიუხედავად მძლავრი საკანონმდებლო ბერკეტისა, რეალურად, კვლევაში მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა განიცდის ინფორმაციის ნაკლებობას, რაც, მათივე გადმოცემით, შეუძლებელს ხდის სოციუმში მათ ინტეგრაციასა და სრულფასოვან ცხოვრებას.

კვლევამ ცხადად გამოავლინა ამ საკითხის მიმართ არსებული გულგრილი დამოკიდებულება სახელმწიფო უწყებების მხრიდან. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პასიურობა საფუძვლად უდევს იმ გარემოებას, რომ შეიმჩნევა მათ მიერ ამ უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად გატარებული პოზიტიური ღონისძიებების ნაკლებობა. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, დღემდე არ წამოჭრილა საკითხი, თუ რატომ არის ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 15% ასეთი პასიური საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თვალსაზრისით. არ დასმულა კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სპეციალური კომუნიკაციის საჭიროების მქონე პირებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო მომსახურებების რეალიზება ინფორმაციის მიუწოდებლობის პირობებში. ჩატარებული კვლევა განსაკუთრებით შემაშფოთებელ მონაცემებს იძლევა სამაშველო სამსახურების, პოლიციის, სახანძრო და სოციალური სამსახურების მიერ ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობის შეზღუდვის შესახებ. ამ უწყებების მხრიდან კი კომუნიკაციის შეფერხების გამო დახმარების გაუწევლობა შესაძლოა, გადამწყვეტი გახდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიცოცხლისათვის. მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებელმა სახელმწიფო უწყებებმა დაუყოვნებლივ პრიორიტეტად აღიარონ ეს პრობლემა და დაიწყონ მისი მოგვარება უმოკლეს ვადებში.

მონაცემები ასევე მიუთითებს სამოქალაქო სექტორის გაძლიერების აუცილებ-ლობაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით. მნიშვნელოვანი იქნება, აღნიშნულ თემაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორმა საკუთარ კვლევებში ყურადღება დაუთმოს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების პრობლემატიკის ანალიზს, რაც საფუძვლად დაედება ამავე ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის საჭიროებაზე მორგებული სერვისების შეთავაზებას.

წინამდებარე კვლევის ფარგლებს სცდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის ანალიზი, როგორიცაა სასჯელაღსრულებისა და საპატიმრო თუ დროებითი მოთავსების ადგილებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ინფორმაციის გაცემისა და მათთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა. უკვე მიღებულმა შედეგებმა ნათელყო, რომ საჭიროა, აღნიშნული მიმართულებითაც განხორციელდეს კვლევითი მუშაობა, რათა ინფორმაციისა და კომუნიკაციის სპეციფიკური საჭიროებების

დაუკმაყოფილებლობის მიზეზით არ დაირღვეს პატიმრობაში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებები. ასევე გაჩნდა აუცილებლობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით გაანალიზდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამცავი მექანიზმების ფუნქციონირება. ხშირად არაერთი საერთაშორისო კვლევა თუ სტატისტიკური მონაცემი მიუთითებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაბალ აქტივობაზე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის კუთხით, თუმცა არ ხორციელდება ძირეული ანალიზი იმ ფაქტორებისა, რომლებიც ამგვარ პასიურობას უდევს საფუძვლად.

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი კვლავაც გააგრძელებს ამ კუთხით კანონით გათვალისწინებული საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებას და იზრუნებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული უფლებების რეალიზაციისათვის.

რეკომენდაციები

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს მთავრობას:

- **სახელმწიფო უწყებებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უზრუნველყონ ჟესტების ენის, ბრაილის შრიფტის, გამაძლიერებელი და ალტერნატიული კომუნიკაციისა და სხვა ხელმისაწვდომი საშუალებების გამოყენება ოფიციალურ ურთიერთობებში;**

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პროცესში, ეს ინფორმაცია მიეწოდოს შესაბამისი ფორმატითა და ტექნოლოგიების გამოყენებით (ბრაილის შრიფტი, მსხვილი შრიფტი, აუდიოსაშუალებები და სხვ.).**

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირის, საქართველოს „საკანონმდებლო მაცნემ“ უზრუნველყოს, რომ მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი;**

- საქართველოს „საკანონმდებლო მაცნეს“ ბეჭდური სახით გამოცემის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროება, კერძოდ, ტექსტის დაბეჭდვა ბრაილის შრიფტით.

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირის, „112“-ის მიერ უზრუნველყოფილ იქნას სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირებისათვის გადაუდებელი დახმარების სამსახურების (სასწრაფო-სამედიცინო დახმარება, სახანძრო-სამაშველო სამსახური, საპატრულო პოლიცია) გამოძახების დროს ინფორმაციის გაცვლა მოკლე ტექსტური შეტყობინების ან სხვა ადეკვატური ზომის გამოყენებით.

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ინტერნეტ-პროვაიდერებს:

- სერვისის მიწოდებისას აქტიურად დაუჭირონ მხარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი ფორმების გამოყენებას.

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ტელე- და რადიოკომპანიებს:

- უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო, შემეცნებით, საინფორმაციო და გასართობ გადაცემებზე;

- საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების დროს აქტიურად იქნას გამოყენებული ჟესტების ენა.

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დროულად და მათთვის მისაწვდომი ფორმით ეცნობოთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ.

რაოდენობრივი კვლევისათვის გამოყენებული კითხვარი

კვლევა

ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის ხარისხის შესახებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის 2012 წლის ნოემბერი

კვლევა ტარდება საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით.

კვლევის მიზანია იმის შეფასება, თუ რამდენად ხორციელდება საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება – თავისუფლად მიიღონ ინფორმაცია ყველა მათთვის მნიშვნელოვან საკითხზე, როგორც ეს გარანტირებულია საქართველოს ეროვნული კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო კონვენციებით.

რას გულისხმობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მიხედვით?

მუხლი 21

აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. **სახელმწიფო მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა შესაბამისი ღონისძიება, რათა უზრუნველყონ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გამოხატვისა და აზრის თავისუფლება, მათ შორის – თავისუფლად მოიძიონ და მიიღონ ინფორმაცია, გაავრცელონ ინფორმაცია და იდეები სხვებთან თანაბარ პირობებში, მათთვის სასურველი ნებისმიერი კომუნიკაციის ფორმით. რომელიც გულისხმობს:**

   (ა) ქვეყნის მასშტაბით გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის – დროულად და დამატებითი საფასურის გარეშე.

   (ბ) ნებისმიერ, მათ შორის, სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა შესაძლებელი უნდა იყოს ჟესტების ენის, ბრაილის შრიფტის, ალტერნატიული და სხვა დამატებითი კომუნიკაციის საშუალებებით.

კომუნიკაციის ყველა საშუალება უნდა იყოს ხელმისაწვდომი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის არჩევანის შესაბამისი;

(გ) კერძო სექტორის მიერ ინფორმაციისა და მომსახურების მიწოდება საზოგადოებისათვის, მათ შორის ინტერნეტით, ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის;

(დ) მოხდეს მასმედიისა და ინტერნეტპროვაიდერების წახალისება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებისაკენ, საკუთარი მომსახურების გავრცელებისას.

(ე) მოხდეს ჟესტების ენის აღიარება და გამოყენების წახალისება.

მიმდინარე ეტაპზე მნიშვნელოვანია თქვენი მონაწილეობა კვლევაში, რათა მოხდეს ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ კითხვარის მონაცემთა ინტეგრაცია და ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება.

კითხვარის შევსების დროს შემოხაზეთ თქვენთვის მისაღები პასუხი.

მადლობას მოგახსენებთ კვლევაში მონაწილეობისათვის.

ინფორმაცია რესპონდენტის შესახებ	
ქალაქი/რაიონი	
სქესი/ასაკი	
იყენებთ თუ არა დამხმარე საშუალებას (ეტლი, სმენის აპარატი, ბრაილით ნაბეჭდი ტექსტი, აუდიოაპარატურა ა.შ.)	
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის წარმომადგენელი/ოჯახის წევრი	

კითხვარი

ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან ინფორმაციის მიღება

1. იცნობთ თუ არა ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ კანონმდებლობას?

☐ **დიახ** ☐ **არა**

2. მიგიმართავთ თუ არა წერილობით ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით საჯარო დაწესებულებისთვის (სამინისტრო, სააგენტო ა.შ.)?

☐ **დიახ** ☐ **არა**

3. მიგიმართავთ თუ არა ტელეფონით/ზეპირი კომუნიკაციის გზით ინფორ-მაციის მისაღებად საჯარო დაწესებულებისთვის (სამინისტრო, სააგენტო)?

☐ **დიახ** ☐ **არა**

4. თქვენი აზრით, რა ტიპის ინფორმაციის გამოთხოვნის შესაძლებლობაა გათვალისწინებული სახელმწიფო ორგანოებიდან საქართველოს კანონმდებლობით:

პერსონალური ინფორმაცია ☐

კომერციული ინფორმაცია ☐

პროფესიული საიდუმლოება ☐

საჯარო ინფორმაცია ☐

სახელმწიფო საიდუმლოება ☐

5. **დაკავშირებულია თუ არა, ინფორმაციის მიღება საჯარო უწყებიდან, თქვენი აზრით, რაიმე საზღაურის გადახდასთან?**

☐ **დიახ** ☐ **არა**

მასმედიის საშუალებების ხელმისაწვდომობა:

6. თქვენი აზრით, იღებენ თუ არა მხედველობისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირები ინფორმაციას სრულფასოვნად ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით?

☐ **დიახ** ☐ **არა**

7. თქვენი აზრით, იღებენ თუ არა მხედველობისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირები ინფორმაციას სრულფასოვნად პრესის საშუალებით?

☐ **დიახ** ☐ **არა**

8. თქვენი აზრით, მედიის რომელი საშუალების ხელმისაწვდომობის გაზრდა არის პრიორიტეტული:

ტელევიზია ☐

რადიო ☐

პრესა ☐

კომენტარი: _____

_____

9. თქვენი აზრით, ინფორმაციის რომელი ტიპის ხელმისაწვდომობის გაზრდა არის დღესდღეობით პრიორიტეტი:

საინფორმაციო ☐

კულტურული სფეროს სიახლეები ☐

გასართობი გადაცემები ☐

დებატები და თოქ-შოუები ☐

საგანმანათლებლო გადაცემები ☐

კომენტარი: _____

_____

გამჭვირვალობა და საჯარო მმართველობა

10. **რომელი სახელმწიფო სტრუქტურის მუშაობის შესახებ ხართ ინფორმირებული:**

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ☐

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ☐

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ☐

იუსტიციის სამინისტრო ☐

შინაგან საქმეთა სამინისტრო ☐

კომენტარი: _____

_____

11. **გაქვთ თუ არა ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფინანსების განკარგვის შესახებ?**

☐ **დიახ** ☐ **არა**

კომენტარი: _____

_____

12. **გაქვთ თუ არა ინფორმაცია თვითმმართველობის ბიუჯეტისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ფინანსების განკარგვის შესახებ?**

☐ **დიახ** ☐ **არა**

კომენტარი: _____

_____

ინტერნეტისა და კომუნიკაციის საშუალებების ხელმისაწვდომობა

13. **არის თუ არა თქვენთვის რეგულარულად ხელმისაწვდომი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერი?**

☐ **დიახ** ☐ **არა**

14. **წარმოადგენს თუ არა ინფორმაციის მიღების წყაროს თქვენთვის ინტერ-ნეტი?**

☐ **დიახ** ☐ **არა**

15. **რომელი სახელმწიფო სტრუქტურის ვებგვერდია მხედველობის შეზღუდვის მქონეთათვის მეტად ხელმისაწვდომი:**

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსი	☐
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსი	☐
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსი	☐
იუსტიციის სამინისტროსი	☐
შინაგან საქმეთა სამინისტროსი	☐

კომენტარი: _____

_____

16. **გთხოვთ, მიუთითოთ, რომელი საინფორმაციო საშუალება წარმოადგენს თქვენთვის ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების ყველაზე ეფექტურ გზას.**

კომენტარი: _____

_____

17. **რომელი საჯარო დაწესებულებიდან გესაჭიროებათ ინფორმაციის მიღება:**

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	☐
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	☐
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	☐
იუსტიციის სამინისტრო	☐
შინაგან საქმეთა სამინისტრო	☐

გთხოთ, დაგვიკონკრეტოთ, რა ტიპის ინფორმაცია გჭირდებათ ამ კონკრეტული უწყებიდან:

_____

_____